სტუდენტურ კომუნიკაციათა მოხალისის პროგრამა

პროგრამის მიზანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბიზნესის, ტექნოლოგიის და განათლების ფაკულტეტის, ტექნოლოგიის სკოლის სტუდენტურ კომუნიკაციათა მოხალისის პოზიცია ემსახურება რამდენიმე ძირითადი მიზნის მიღწევას.

- ტექნოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა შორის ტექ. სკოლის სტუდენტის იდენტობის ჩამოყალიბებას და ტექ. სკოლის კონკრეტულ მიმართულებასთან მიკუთვნებულობის შეგრძნების გაზრდას;
- ტექ. სკოლის საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ და ამ პროგრამების ფარგლებში შემოთავაზებული კურიკულარული თუ ექსტრა-კურიკულარული შესაძლებლობების შესახებ ტექ. სკოლის სხვა სტუდენტებისთვის ინფორმაციის სწორად და სათანადოდ მიწოდებას;

მიზნიდან გამომდინარე, სტუდენტურ კომუნიკაციათა მოხალისის პოზიციაზე განსაზღვრულია შემდეგი ამოცანები

- ➔ სტუდენტური კავშირების გაძლიერება აკადემიურ, პროფესიულ, პიროვნულ და სოციალურ განვითარებაზე ორიენტირებით;
- ➔ სტუდენტებთან რეგულარული და ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფა;
- ➔ სტუდენტთა ჩართულობის უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პროგრამებისა და ტექნოლოგიის სკოლის მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობაში;
- ➔ საგანმანათლებლო პროგრამებისა და ტექნოლოგიის სკოლის ღირებულებებისა და მიზნების ადვოკატირება და პოპულარიზაცია აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებებში.

მოვალეობები და პასუხისმგებლობა

სტუდენტურ კომუნიკაციათა მოხალისის მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას წარმოადგენს:

- მომავალ, ახალწვეულ და მიმდინარე სტუდენტებისთვის ილიას სახელწიფო უნივერსიტეტში/ტექნოლოგიის სკოლაში სწავლის გამოცდილების გაზიარება და ყველა ხელმისაწვდომი სერვისის შესახებ ინფორმაციის მიწოდება და ამ ინფორმაციის მიწოდების პროცესის ეფექტურობის შეფასება;
- ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის/ტექნოლოგიის სკოლის ღონისძიებებზე, მაგ. ღია კარის დღე, ახალწვეულთა მიღების ან/და საორიენტაციო კვირეული, გამოსაშვები ცერემონიალი და ა.შ ჩართულობა, დასწრება და სტუდენტების მობილიზება მათთვის ინფორმაციის სათანადოდ და სწორად მიწოდებით;
- სემესტრის დასაწყისში სტუდენტთა კონსულტირება კოორდინატორის მიერ განსაზღვრული საკონსულტაციო საათების ფარგლებში, ელექტრონულ სასწავლო პლატფორმებზე (არგუსი, E-Learning) ნავიგაციის გამარტივება, პროგრამის სტრუქტურის გაცნობის და სასწავლო კურსებზე რეგისტრაციის პროცესში ხელშეწყობა;

- ტექნოლოგიის სკოლის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით, უნივერსიტეტის/სკოლის ფარგლებში ან მის მიღმა, სხვადასხვა, პროგრამულად შესაბამის, აკადემიურ, პროფესიულ ან/და სოციალურ აქტივობების დაგეგმვის პროცესში ჩართულობა და მონაწილეობა;
- ტექნოლოგიის სკოლის მიერ დაგეგმილ აქტივობებში სტუდენტთა თანამონაწილეობის წახალისება და მოტივაციის ამაღლება;
- ტექნოლოგიის სკოლის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ინიციატივებისა და უკუკავშირის გაზიარების ფორმით თანამშრომლობა, რაც მოიაზრებს შესაბამისი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისა და ტექნოლოგიის სკოლის სერვისების გაუმჯობესებისა და განვითარების პროცესში მონაწილეობის მიღებას.

შერჩევა

კონკურსში მონაწილეობის წინაპირობები

კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ➔ სტუდენტი უნდა ირიცხებოდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ტექნოლოგიის სკოლის საბაკალავრო საფეხურზე და მას უნდა ჰქონდეს აქტიური სტუდენტის სტატუსი;
- ➔ სტუდენტს დაგროვებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 60 კრედიტი;
- ➔ სტუდენტის საშუალო ქულა უნდა იყოს არანაკლებ 81 ქულისა.

შერჩევის პროცედურა

სტუდენტურ კომუნიკაციათა მოხალისის პროგრამის ფარგლებში სტუდენტების შერჩევის პროცედურას კოორდინირებას უწევს ტექნოლოგიის სკოლის ადმინისტრაცია შემდეგი ეტაპების შესაბამისად:

ეტაპი I - ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ცხადდება რეგისტრაცია მომავალი აკადემიური წლისთვის;

ეტაპი II - სააპლიკაციო დოკუმენტების განხილვა და შეფასება;

- განაცხადის ვალიდურობის დადგენა;
- სამოტივაციო წერილის შეფასება.

ეტაპი III - გასაუბრება კომისიასთან;

- გასაუბრების კომისია შედგება: ტექნოლოგიის სკოლის დირექტორის, სასწავლო პროგრამების კოორდინატორების და შესაბამისი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები;
- გასაუბრების დროს გათვალისწინებული იქნება კანდიდატის გამოცდილება, მოტივაცია და პროგრამაში ჩართულობის მნიშვნელობა, კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის უნარი, უნივერსიტეტის/სკოლის სერვისებისა და რესურსების შესახებ ზოგადი ცოდნა, ინიციატივები და ხედვა სტუდენტურ კომუნიკაციათა მოხალისის პროგრამასთან დაკავშირებით.

- კომისიის ფორმირება ხდება ტექნოლოგიის სკოლის დირექტორის მიერ, კომისიის პოტენციური წევრებისგან წარდგინებაზე თანხმობის მიღების საფუძველზე;

ეტაპი IV - ნომინირება და საბოლოო შერჩევა.

- სტუდენტების ინფორმირებას უზრუნველყოფს შესაბამისი პროგრამის კოორდინატორი;
- შერჩეულ მოხალისეებს ჩაუტარდებათ სავალდებულო ტრენინგი, შერჩევიდან 3 კვირის ვადაში.

პროგრამის დატვირთვა და უპირატესობა

სტუდენტთა კომუნიკაციების მოხალისის პროგრამა სრულიად მოხალისეობრივ საქმიანობას მოიაზრებს ზემოთგაწერილი ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების შესაბამისად.

სტუდენტი მოხალისე მინიჭებული სტატუსით სარგებლობს არანაკლებ ერთი სასწავლო წლის და არაუმეტეს პროგრამის ხანგრძლივობის განმავლობაში. სტუდენტი მოხალისის სამუშაო დატვირთვა ცალკეული გამონაკლისების გარდა, გულისხმობს კვირაში არაუმეტეს 6-8 საათს.

სტუდენტი მოხალისის საქმიანობის კოორდინირებას ახორციელებს შესაბამისი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორი. საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულების შემთხვევაში, ტექნოლოგიის სკოლის ადმინისტრაციის მიერ გადაიხედება სტუდენტი მოხალისის პროგრამაში ჩართულობის საკითხი.

სასწავლო წლის დასასრულს, წარმატებულ სტუდენტთა კომუნიკაციების მოხალისეს გადაეცემა სტუდენტურ კომუნიკაციათა მოხალისის სერტიფიკატი. სერტიფიკატი გაცემული იქნება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბიზნესის, ტექნოლოგიის და განათლების ფაკულტეტის მიერ.